

„შპს ლიზინგ ექსპერტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური
ანგარიშგება

2023 წელი 31 დეკემბერი

2023

შპს “ ლიზინგ ქმსკერტი ”
საკუთარი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია.....	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	8
3. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება.....	10
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	10
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11
6. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	11
7. კაპიტალი.....	11
8. სასესხო ვალდებულებები	11
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	11
10. ამონაგები.....	11
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	12
12. საპროცენტო ხარჯი	12
13. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	12
14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	12
15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.....	12
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	12

შპს „ლიზინგ ქმსპერტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	90,941	116,793
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		3,783,296	3,355,473
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,874,237	3,472,266
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	554,933	1,950,575
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	971,654	343,037
მარაგები		9,370	55
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6	651,888	641,881
საგადასახადო აქტივები		28,944	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,216,789	2,935,548
მთლიანი აქტივები		6,091,027	6,407,814
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,897,685	1,827,893
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(743,387)	(302,550)
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1,090,814	(440,838)
სულ კაპიტალი	7	3,245,111	1,084,506
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	1,868,029	3,032,567
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	1,776
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		242	292
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	8	-	1,452,220
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	107,006	130,239
გადასახდელი პროცენტები		870,638	706,214
სულ ვალდებულებები		2,845,915	5,323,308
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,091,027	6,407,814

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

ნიკა ყულოშვილი

დირექტორი

შპს „ლიზინგ ქმსპერტი“
საპროექტო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	90,941	116,793
ფინანსურ ოჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		3,783,296	3,355,473
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,874,237	3,472,266
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	554,933	1,950,575
საექსპლუატაციო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	971,654	343,037
მარაგები		9,370	55
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6	651,888	641,881
საგადასახადო აქტივები		28,944	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,216,789	2,935,548
მთლიანი აქტივები		6,091,027	6,407,814
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,897,685	1,827,893
დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(743,387)	(302,550)
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		1,090,814	(440,838)
სულ კაპიტალი	7	3,245,111	1,084,506
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	1,868,029	3,032,567
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	1,776
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		242	292
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	8	-	1,452,220
საექსპლუატაციო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	107,006	130,239
გადასახდელი პროცენტები		870,638	706,214
სულ ვალდებულებები		2,845,915	5,323,308
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,091,027	6,407,814

მოამზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

ნიკა ყოლოშვილი

დირექტორი

შპს „ლიზინგ ექსპრესი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	10	2,005,339	1,619,557
დასაქმებულთა ანაზღაურება		(498,432)	(381,532)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(443,904)	(317,000)
საგადასახადო ხარჯი		(34,477)	(49,419)
იჯარის ხარჯი		(135,876)	(55,807)
სხვა ხარჯები		(4,954)	(7,091)
ცვეთა და ამორტიზაცია		(31,751)	(22,332)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		855,945	786,376
საპროცენტო შემოსავალი		19,826	9,213
საპროცენტო ხარჯი	12	(414,504)	(480,454)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		2,705	1,846
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	13	587,118	29,604
სხვა წმინდა შემოსავალი/ (ხარჯი)		39,724	(787,423)
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		1,090,814	(440,838)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,090,814	(440,838)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

ნიკა ყულოშვილი

დირექტორი

შპს „ლიზინგ ქმსპერტი“
საქმიანო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ძირითად ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	10	2,005,339	1,619,557
დასაქმებულთა ანაზღაურება		(498,432)	(381,532)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(443,904)	(317,000)
საგადასახადო ხარჯი		(34,477)	(49,419)
ოჯარის ხარჯი		(135,876)	(55,807)
სხვა ხარჯები		(4,954)	(7,091)
ცვეთა და ამორტიზაცია		(31,751)	(22,332)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		855,945	786,376
საპროცენტო შემოსავალი		19,826	9,213
საპროცენტო ხარჯი	12	(414,504)	(480,454)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		2,705	1,846
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	13	587,118	29,604
სხვა წმინდა შემოსავალი/ (ხარჯი)		39,724	(787,423)
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		1,090,814	(440,838)
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,090,814	(440,838)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს.

ნიკა ყულოშვილი



დირექტორი

შპს „ლიზინგ ექსპრტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(პარტულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	223,475	(302,550)	(79,075)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	1,604,418	-	1,604,418
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(440,838)	(440,838)
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,827,893	(743,387)	1,084,506
კაპიტალის ზრდა/შემცირება	1,069,792	-	1,069,792
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,090,814	1,090,814
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,897,685	347,427	3,245,111

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

ნიკა ყულოშვილი

დირექტორი

შპს „ლიზინგ ქსპერტი“
საკუთარი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(პარტულ ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	223,475	(302,550)	(79,075)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	1,604,418	-	1,604,418
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(440,838)	(440,838)
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,827,893	(743,387)	1,084,506
კაპიტალის ზრდა/შემცირება	1,069,792	-	1,069,792
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,090,814	1,090,814
გადახდილი დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,897,685	347,427	3,245,111

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

ნიკა ყულუშვილი

დირექტორი

შპს „ლიზინგ ქმსპერტი“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(*ქართულ ლარში*)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნდა 2020 წლის 20 იანვარს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის სადასახად ინსპექციის მიერ სადენტიფიკაციო ნომრით: 402156322. კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელია ანტონ აჯიევი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს ავტომობილების და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარასა და ლიზინგს. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არის 16. კომპანიის იურიდიული მისმართია :საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., N71, ბლოკი N2, სართული -1, კომერციული ფართი N6

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით.

კომპანიამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესადარის ინფორმაციას.

მის ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის

აშშ დოლარი	ევრო
2.6894	2.9753

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში

- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან - აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარაში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ექვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გაველენა ექნებოდა ფინანსური აქტივის თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი
თვითღირებულება 01.01.2023	140,761	15,329
შემოსვლა	4,899	1,000
გასვლა	-	-
ნაშთი 31.12.2023	145,660	16,329

დაგროვილი ცვეთა

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი
დაგროვილი ცვეთა 01.01.2023	33,857	5,440
წლიური ცვეთა	28,569	3,182
გასული აქტ.დაგრ ცვეთა -	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	62,426	8,622
საბალანსო ღირებულება	83,234	7,707

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	31-Dec-23	31-Dec-22
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	468,523	11,556
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	51,176	567,701
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	35,234	1,371,317
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე (დეპოზიტი)	-	-
სულ	554,933	1,950,575

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-Dec-23	31-Dec-22
მოთხოვნა ჩამორთმეული მანქანების რეალიზაციიდან	524,155	36,697
მისაღები პროცენტები სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში	416,754	295,945
მოთხოვნა იმპორტირებული მანქანის რეალიზაციიდან	-	-
მისაღები პროცენტები გაცემული სესხებიდან	30,745	10,395
სულ	971,654	343,037

6. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	31-Dec-23	31-Dec-22
მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხებიდან	641,690	631,691
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	10,198	10,190
სულ	651,888	641,881

7. კაპიტალი

კომპანიას აქვს საწესდებო კაპიტალი 2,897,685 ლარი, ასევე აქვს დაგროვილი გაუნაწილებელი ზარალი 347,427 ლარი . 2023 წლის მთლიანი სრული მოგებაა 1,090,814 ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დივიდენდი არ გაცემულა.

8. სასესხო ვალდებულებები

	31-Dec-23	31-Dec-22
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები ბანკებიდან	-	1,155,000
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები პარტნიორებისგან	-	297,220
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები კომპანიებიდან	1,868,029	3,032,567
სულ	1,868,029	4,484,787

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-Dec-23	31-Dec-22
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	76,149	83,040
სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსები	30,269	47,035
საპენსიო ფონდის ვალდებულება	588	165
სულ	107,006	130,239

10. ამონაგები

	31-Dec-23	31-Dec-22
საპროცენტო შემოსავალი ლიზინგიდან	1,299,018	1,094,146
შემოსავალი დაგვიანებული გადახდების ჯარიმებიდან	669,062	503,134
შემოსავალი იმპორტირებული მანქანის რეალიზაციიდან	10,371	-
შემოსავალი ადრე დაფარვის საკომისიოდან	26,888	22,276
სულ	2,005,339	1,619,557

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31-Dec-23	31-Dec-22
ბანკის მომსახურების ხარჯი	(3,873)	(15,388)
დაცვის მომსახურების ხარჯი	(2,640)	(1,920)
სოციალური დანარიცხების ხარჯი	(10,808)	(8,138)
საფოსტო ხარჯი	(12,993)	(11,111)
რეკლამის ხარჯი	(35,258)	(260)
მივლინების ხარჯი	(551)	(75)
ავტოსადგომით მომსახურების ხარჯი	(8,253)	(4,863)
სადილერო მომსახურების ხარჯი	(9,282)	(6,221)
მანქანის გადაფორმების ხარჯი	(82,594)	(54,939)
სასამართლო დავების ხარჯი	(11,385)	(17,300)
ოფისის ხარჯი	(25,344)	(26,515)
აღმასრულებლის ხარჯი	(79,250)	(52,381)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	(42,326)	(12,721)
დაზღვევის ხარჯი	(17,660)	(9,964)
საკონსულტაციო ხარჯი	(94,103)	(88,244)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(2,260)	-
მანქანის ხარჯი (რემონტი, საწვავი)	(5,325)	(6,960)
სულ	(443,904)	(317,000)

12. საპროცენტო ხარჯი

	31-Dec-23	31-Dec-22
ბანკისგან მიღებულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	(31,705)	(103,771)
პარტნიორებისგან მიღებულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	(1,091)	(2,412)
კომპანიებისგან მიღებულ გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	(381,708)	(374,270)
სულ	(414,504)	(480,454)

13. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

	31-Dec-23	31-Dec-22
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	932,011	1,331,555
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(344,893)	(1,301,951)
სულ	587,118	29,604

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2023 წელს შეადგენს 94 349, 48 ლარს. კომპანიას დაკავშირებულ მხარეები არ ყავს, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ტრანზაქციები.

15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2024 წლის 30 სექტემბერი.